

მურაბ ქყონია

X ელუკუეუტორ
გუეჰორ გუენელოტორ

ჩივი ეძღვნება დედას, ნაზი ვუვლია

მუხრან მუხრანი

ჯეორგიისი კვლის
კონსტრუქცია



თბილისი

2023

რედაქტორი

მერაბ კეზევაძე

ისტორიის დოქტორი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი, ქუთაისის ცენტრალური არქივის დირექტორი

@ ზურაბ ჭყონია

ქართული ტექსტის კორექტორი - მაკა ბურდაშვილი

ინგლისური ტექსტის თარგმნა და კორექტირება - სალომე კუპატაძე

ტექნიკური რედაქტორი - ზურაბ ჭყონია

ყდის დიზაინი - ელენე დობორჯგინიძე

დაკაბადონება - ელენე დობორჯგინიძე

ISBN 978-9941-34-306-3

შპს გამომცემლობა „მერიდიანი“

აღ. ყაზბეგის №47, თბილისი,

ტელ.: (+995 32) 239 15 22

E-mail: meridiani777@gmail.com

წიგნი წარმოადგენს 2023 წელს გამოცემული წიგნის
ელექტრონულ ვერსიას, რომელშიც გასწორებულია ბეჭდურ
ვერსიაში არსებული რამდენიმე ტექნიკური და სხვა
სახის შეცდომები.

რედაქტორისგან

ქართულ გვარსახელებზე ბოლო წლებში არაერთი საინტერესო ნაშრომი შეიქმნა და გამოიცა. მათი უმეტესი ნაწილი კონკრეტული გვარის ისტორიას ეხება, თუმცა მათ შორისაცაა განსხვავება. ზოგ ნაშრომში მთავარი აქცენტი გვარსახელის წარმოშობასა და განსახლებაზეა გაკეთებული, ზოგიერთში, გვარსახელის ისტორიის ფონზე, გვარის გამოჩენილ ადამიანებზეცაა მოთხრობილი, მკვლევართა ერთი ნაწილი საკვლევ გვარსახელზე არსებული წყაროების პუბლიკაციას ანიჭებს უპირატესობას. ბატონ ზურაბ ჭყონიას წიგნში გვარსახელის - ჯელაძის, მრავალმხრივი შესწავლის პარალელურად, წყაროების პუბლიკაციაც დომინანტურადაა წარმოდგენილი. წიგნში ამ გვარის შესახებ საქართველოს სხვადასხვა არქივსაცავებსა და პირად კოლექციებში დაცული ასობით დოკუმენტია წარმოდგენილი, რომელთა უდიდესი ნაწილი პირველად ქვეყნდება.

ავტორი გვარსახელ ჯელაძეს წლებია იკვლევს. ამ კვლევის პირველი შედეგები სტატიის სახით დაიბეჭდა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამეცნიერო კონფერენციის შრომებში“ სათაურით - „ჯელაძეების გვარის გენეალოგია“. მასში, ისე როგორც ამ წიგნში, ავტორი წარმოჩინდება არა მარტო როგორც კარგი მკვლევარი, არამედ ამ გვარის დიდად მოსიყვარულე და პატივისმცემელი. ეს დამოკიდებულება წიგნის პირველსავე გვერდზე გაკეთებულ ავტორისეულ მიძღვნაშიცაა გამოქვეყნებული: - „ექღვნება დედას, ნაზი ჯელაძეს“. წიგნის შესავალ ნაწილს, რომელშიც, ძირითადად გვარსახელ ჯელაძეზე კვლევაა წარმოდგენილი, ისე, როგორც ზემოთ ნახსენებ სტატიას, კარგად ეტყობა პროფესიონალი მკვლევარის ხელი, რაც არცაა გასაკვირი, ავტორი ხომ სამართლის სპეციალობის პროფესორი და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ „სამართლის მაცნეს“ მთავარი რედაქტორია.

ნიგნის დანიშნულებას თავად ავტორი კარგად აყალიბებს. მისი „მიზანია ჯელაძეთა გვარის ეტიმოლოგიის, საგვარეულოს კავშირების, მიგრაციული პროცესების და განსახლების არეალის დადგენა, რაც თავის მხრივ ამ გვარის წარმომადგენელთა დაახლოებას და დაკავშირებას შეუწყობს ხელს ... გვარის წარმომადგენლები შეძლებენ მათი კონკრეტული წინაპრების მოძიებას და იდენტიფიცირებას, შეიტყობენ მათ სახელებს და გვარებს, დაადგენენ საკუთარ გენეალოგიურ შტოს, ნათესაურ და პირად კავშირებს, როგორც გვარში, ისე რიგ შემთხვევაში სხვა გვარის წარმომადგენლებთან, წინაპრების გარდაცვალების მიზეზებს, ცხოვრების ხანგრძლივობას, ქონებრივ და სოციალურ მდგომარეობას“.

ნაშრომი ორიგინალური არქიტექტონიკისაა. როგორც ვთქვით, კვლევას, რომელშიც განხილულია გვარსახელ ჯელაძის ეტიმოლოგია, განსახლების არეალი, სოციალური წარმოშობა, გენეტიკური წარმომავლობა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, მოჰყვება დოკუმენტების პუბლიკაცია შემდეგი თემატურ-გეოგრაფიული პრინციპით: „ჯელაძეები ღარიდან“, „ჯელაძეები სოფელ ურავიდან“, „ჯელაძეები ხაშურიდან“, „ჯელაძეები ყვარლიდან“. თითოეულ ამ თავში წარმოდგენილია სხვადასხვა წლების აღსარების მთქმელთა და კამერალური აღწერების სიები, ასევე ამონაწერები, სხვადასხვა წლების საკომლო წიგნებიდან, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს უშუალოდ გაეცნოს დოკუმენტს და საჭიროების მიხედვით გამოიყენოს იგი. საინტერესოა ასევე წიგნში მოტანილი ნასყიდობის ხელშეკრულებები და სამედიცინო სასამართლოს განჩინება, ავტორის მოძიებული მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ჯელაძეები.

ნიგნს ამდიდრებს გენეალოგიური ხეებისათვის მომზადებული მასალა, კონკრეტულად ურაველი, აფენელი, ხაშურელი, ყვარლის სოფელ ახალსოფლის და თელაველი

ჯელაძეების შესახებ. ავტორი მაღლიერებას გამოხატავს ამ მასალის შემქმნელთა და მომწოდებელთა მიმართ. წიგნს საინტერესოს ხდის, აგრეთვე, ათობით ფოტო-სურათი.

ბატონ ზურაბ ქყონიას წიგნი კარგი საჩუქარია არამართო ჯელაძეებისთვის, არამედ ქართული გენეალოგიის მკვლევართათვის.

**ისტორიის დოქტორი,
გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
მერაბ კეზევაძე
12.12. 2022**

სარჩევი

რედაქტორისგან.....	3
ბიბლიოგრაფია.....	7
ავტორის შესახებ	11
წინათქმა	13
შესავალი.....	16
ჯელაძეების გვარის წარმომადგენელთა საერთო რიცხვოვნობა და განსახლების არეალი.....	24
პირველი ცნობები ჯელაძეების გვარის შესახებ.....	25
ჯელაძეების გვარის ეტიმოლოგია.....	26
ჯელაძეების გვარის გენეტიკური წარმომავლობა	27
ჯელაძეების გვარის წარმომავლობა და უძველესი საცხოვრისი.....	28
ჯელაძეების გვარის სოციალური წარმოშობა	32
ჯელაძეები სოფელ ღარიდან.....	32
ჯელაძეები სოფელ ურავიდან	160
ჯელაძეები ხაშურიდან	236
ჯელაძეები ყვარლის სოფელ ახალსოფლიდან.....	252
ნასყიდობის ხელშეკრულებები და სამედიატორო სასამართლოს განჩინება და შეთანხმება	264
ჯელაძეები მეორე მსოფლიო ომში.....	282
ურაველი ჯელაძეების სახელობითი სია.....	299
აფენელი ჯელაძეების სახელობითი სია	360
ხაშურელი ჯელაძეების სახელობითი სია	362
ყვარლის სოფელ ახალსოფლის ჯელაძეების სახელობითი სია.....	374
თელაველი ჯელაძეების სახელობითი სია	384
არჩილ მარკოზის ძე ჯელაძის „გენეალოგიური ხე“	387
ფოტომატიანე	389
ანოტაცია ინგლისურ ენაზე.....	405
„რედაქტორისგან“ ინგლისურ ენაზე.....	407

ბიბლიოგრაფია¹

1. ამონაწერები სოფელი ღარის საეკლესიო მეტრიკული წიგნებიდან 1871 წლამდე - ფონდი 489, ანაწერი 6, საქმეები: 93ა, 117, 171, 198, 227, 278, 305, 329, 362, 422, 444, 497, 545ა, 567, 613, 722, 778, 946, 996, 1053, 1107, 1164, 1215, 1271, 1341ბ, 1407, 1542, 1617, 1773 ტ. II, 1858, 2001, 2089, 2153.
2. ამონაწერები სოფელი ურავის საეკლესიო მეტრიკული წიგნებიდან 1871 წლამდე - ფონდი 489, ანაწერი 6 საქმეები: 171, 227, 305, 613, 670, 834, 893, 946, 1053, 1164, 1271, 1341ბ, 1407, 1542, 1617, 1773 (ტ. I), 1858, 2001, 2089, 2153.
3. 1871 წ.-დან 871, 872.
4. კეზევაძე მ. გვარსახელები XIX საუკუნის რაჭაში. თბილისი, 2018 წ.
5. თოფჩიშვილი რ., XIX საუკუნის აღწერის დავთრები საქართველოს ეთნოისტორიული პრობლემების შესახებ. თბილისი, 2021 წ.
6. მჭედლიძე გ. სოფელ ლეხაურის აღსარების მთქმელთა დავთარი (1842—1887 წწ.) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევები. პროგრამა თეზისები. 2017 წლის 2017 წლის 18-21 ოქტომბერი, თბილისი, საქართველო.
7. დოლიძე ი. ქართულის სამართლის ძეგლები, VIII. თბილისი, 1985 წ.

¹ ბიბლიოგრაფიაში არ არის შეტანილი 1871 წლიდან საეკლესიო მეტრიკული წიგნების საქმეების ნომრები, ვინაიდან მათი მოძიება არქივში ხდება რაიონის, სოფლის და ეკლესიის მიხედვით.

8. გობეჯიშვილი ვ. ჩემი თვალთ დანახული რაჭა. თბილისი, 2017 წ.
9. კეზევაძე მ. გვარები XIX საუკუნის რაჭაში. თბილისი, 2018 წ.
10. ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, ისტორიული გეოგრაფია, ტ. I, თბილისი, 1964.
11. თოფჩიშვილი რ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული სამხრეთი საქართველო და ქართველები თურქეთში, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2017 წ.
12. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2. თბილისი, 1977 წ.
13. ჯღენტი ე., დისერტაცია. საქართველოსა და მიმდებარე რეგიონებში გავრცელებული ერსინია პესტის შტამების მოლეკულური დახასიათება. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2019 წ.
14. ხაშურის რეგიონალური არქივი, ფ. 15, ან. 1, საქ. 6.
15. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. 5047, ნუსხა ყმამაჟღებისა, XIX ს.
16. ქცა, ფ. 21, ან. 1, საქ. 4252.
17. ქცა, ფ. 8, ან. 1, საქ. 818.
18. ქცა, ფ. 21, ან. 1, საქ. 2034.
19. ქცა, ფ. 156, საქ. 28, 37, 38, 39.
20. ქცა, ფ. 21, ან 1, საქ. 1880.
21. ქცა, ფ. №15. ან. 1. საქ. 47.
22. სცა, ფ. 254, ან. 1, საქ. 541.
23. სცა, ფ. 254, ან. 1, საქ. 1244.
24. სცა, ფ. 254, ან. 1, საქ. 1936. გვ. 291.
25. სცა, ფ. 254, ან. 1, საქ. 1936.
26. სცა, ფ. 254, ან. 2, საქ. №2331.
27. სცა, ფ. 254, ან. 3, საქ. 143.
28. სცა, ფ. 254, ან. 3, საქ. 1676.

29. სცა, ფ. 254, ან. 2, საქ. 277.
30. სცა, ფ. 254, ან. 1, საქ. 1943.
31. სცა, ფ. 254, ან. 1, საქ. 1770.
32. სცა, ფ. 254, ან. 3, საქ. №165.
33. სცა, ფ. 254, ან. 3, საქ. №1782.
34. სცა, ფ. 489, ან. 6, საქ. 376ა.
35. სცა, ფ. 489, ან. 6, საქ. 34.
36. სცა, ფ. 489, ან. 6, საქ. 48.
37. სცა, ფ. 489, ან. 6, საქ. 92.
38. სცა, ფ. 489, ან. 6, საქ. 357.
39. სცა, ფ. 489, ან. 6, საქ. 9.
40. სცა, ფ. 489, ან. 6, საქ. 30.
41. სცა, ფ. 489, ან. 6, საქ. 225
42. სცა, ფ. 489, ან. 6, საქ. 889.
43. სცა, ფ. 489, ან. 6, საქ. 419.
44. სცა, ფ. 489, ან. 6, საქ. 2074.
45. სცა, ფ. 489, ან. 6, საქ. 1106.
46. სცა, ფ. 489, ან. 6, საქ. 1903.
47. სცა, ფ. 489, ან. 6, საქ. №142.
48. სცა, ფ. 489, ან. 6, საქ. №312.

ინტერნეტ რესურსები:

1. საქართველოს ეროვნული არქივის ვებგვერდი. ხელმისაწვდომია: <<https://archive.gov.ge/ge/metrikuli-tsignebis-sadziebeli-1>>[ნანახია 8 დეკემბერი 2022].
2. საინტერესო სტატისტიკა. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ვებგვერდი. ხელმისაწვდომია:

- <<https://intpass.sda.gov.ge/NameStatistics.aspx>> [ნანახია 8 დეკემბერი 2022].
3. ხელმისაწვდომია <<http://geogen.ge/ge/treasurege/79/4306/>> [ნანახია 7 დეკემბერი 2022].
 4. ხელმისაწვდომია: <<http://geodna.ge/info/>> [ნანახია 7 დეკემბერი 2022].
 5. Georgian DNA Project - Y-DNA Classic Chart. დნმ-ის შედეგები. ხელმისაწვდომია: <<https://www.familytreedna.com/public/georgia/default.aspx?section=yresults>> [ნანახია 7 დეკემბერი 2022].
 6. ონის მუნიციპალიტეტის ვებგვერდი. ხელმისაწვდომია: <https://oni.gov.ge/?page_id=3276> [ნანახია 8 დეკემბერი 2022].
 7. სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია. ხელმისაწვდომია: <<http://imereti.gov.ge/geo/static/97/regions/HISTORY>> [ნანახია 7 დეკემბერი 2022].
 8. ხელმისაწვდომია: <<https://obd-memorial.ru>> [ნანახია 7 დეკემბერი 2022].
 9. ხელმისაწვდომია: <http://www.podvignaroda.ru/?#tab=navPeople_search> [ნანახია 7 დეკემბერი 2022].

ავტორის შესახებ

ზურაბ ჭყონია დაიბადა 1972 წელს თბილისში. 1996 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით. 2010 წლიდან კითხულობდა ლექციებს სხვადასხვა დროს: საბანკო-საფინანსო და მენეჯმენტის უნივერსიტეტის, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტების და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე. 2011 წლიდან არჩეულ იქნა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე კერძო სამართლის მიმართულებით. 2016 წელს პროფესიული ნიშნით არჩეულ იქნა ევროპის უნივერსიტეტში ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე კერძო სამართლის მიმართულებით. 2015 წლიდან 2020 წლის 16 აგვისტომდე ზურაბ ჭყონია ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი იყო. ის 2015 წლიდან 2019 წლამდე ამავე ინსტიტუტის სამართლის საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „სამართალი და მსოფლიოს“ მთავარი რედაქტორი გახლდათ, ხოლო 2019 წლიდან 2020 წლის 16 აგვისტომდე რედაქტორი. 2019 წლიდან დღემდე იგი არის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „სამართლის მაცნეს“ მთავარი რედაქტორი. 2020 წლის დეკემბრიდან არჩეულ იქნა უნივერსიტეტი მილენიუმის პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე კერძო სამართლის მიმართულებით.

ზურაბ ჭყონია 1992-1993 წლებში და შემდგომ 1995-2001 წლებში მუშაობდა შინაგან საქმეთა ორგანოებში, მათ შორის ხელმძღვანელ თანამდებობებზე. 2001 წლიდან -- 2022 წლის ნოემბრამდე ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას. 2001-2002 წლებში გახლდათ იურიდიული ფირმა „კორძაძე და სვანიძე ადვოკატების“ ადვოკატი. 2002-2005 წლებში იყო საადვოკატო ბიურო „ჭყონია და პარტნიორების“ მმართველი.

ველი პარტნიორი. 2005-2006 წლებში მუშაობდა შსს სსიპ სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე. 2006 წლიდან გახლავთ „იურიდიული ფირმა ჭყონია და კომპანიას“ დამფუძნებელი და მმართველი პარტნიორი. 2009-2010 წლებში პარალელურად მუშაობდა მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟი „რეგისტას“ არბიტრად. 2014 წლის აპრილიდან დღემდე ა(ა)იპ „სამართლის მეცნიერთა კავშირის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და თავმჯდომარეა, ხოლო 2012 წლიდან დღემდე არის „კავკასიის ადვოკატთა სკოლა CLS“-ის დამფუძნებელი პარტნიორი და დირექტორი. 2022 წლის 20 სექტემბრიდან დღემდე მუშაობს სსიპ „სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს“ კონსულტანტის თანამდებობაზე.

ზურაბ ჭყონიას ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო სპეციალიზაციით. ჰყავს დედა ნაზი არჩილის ასული ჯვალაძე, მეუღლე შორენა ონისეს ასული თალაკვაძე (ყურნალისტი, პოეტი, მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი) და ორი შვილი ერეკლე და ლევან ჭყონიები.

ზურაბ ჭყონია გახლავთ 11 სამეცნიერო სტატიის ავტორი და წიგნის „საალსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის კომენტარის“ (წიგნი პირველი) თანაავტორი. მონაწილობა აქვს მიღებული 6 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში. 2022 წელს მას წარდგენილი აქვს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციაზე სამეცნიერო სტატია „ჯვალაძეების გვარის გენეალოგია“. ზურაბ ჭყონია ეწევა ქართული გვარების კვლევას. მისი კვლევის საგანი გახლავთ ასევე ქართული გვარების განსახლება, მიგრაცია და ნათესაური კავშირები.

„მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველს ერს თავისი ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობა.“

ილია ქავჭავაძე

წინათქმა

თვითოეული გვარსახელის კვლევა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რადგანაც ეს პროცესი გახლავთ ქვეყნის ისტორიის კვლევის ერთ-ერთი გასაღები.

თავდაპირველად მინდა გაგიზიაროთ ჩემი, როგორც მკვლევარის ემოცია. გამოგიტყდებით, რომ ჩემთვის გვარების კვლევის პროცესი ერთგვარი აზარტია, ერთგვარი დროის მანქანა, რომლითაც წინაპრებთან ერთად წარსულში ვმოგზაურობ, მათთან ერთად განვიცდი მათ ყველა მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ მომენტებს - დაბადებას, ნათლობას, ქორწინებას, გარდაცვლებას თუ წარმატებას.

წინამდებარე წიგნზე მუშაობის დროს პატივი მერგო გამეცნო აფხაზეთიდან დევნილი, წარმოშობით ურაველი დები, საკუთარ გვარზე და წინაპრებზე უზომოთ შეყვარებული დები მზევინარ და ჯაჯალა ჯელაძეები, რომლებსაც დაულალავი შრომის შედეგად შედგენილი ჰქონდათ ურაველი, ხაშურელი და კახეთში მცხოვრები ჯელაძეების სახელობითი სიები დაახლოებით XIX საუკუნის შუა წლებიდან 2018 წლის ჩათვლით საკუთარი წინაპრების გადმოცემაზე და ჯელაძეების სხვა ოჯახებში არსებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით. უნდა ავლნიშნო, რომ ჩემი კვლევის მიზანი არ ყოფილა სახელობითი სიების შედგენა, თუმცა მათთან ურთიერთობის შემდეგ გადავწყვიტე ურაველი, ხაშურელი და კახეთში მცხოვრები ჯელაძეების სახელობითი სიების ნაშრომში შეტანა, მაგრამ მანამდე მასში გარკვეული მონაცემები შევავსე და დავაზუსტე ჩემი კვლევის შედეგად მოპოვებული საარქივო დოკუმენტების მეშვეობით. მი-

უხედავად ამისა, მე როგორც ავტორი ვერ ვიღებ პასუხ-
ისმგებლობას აღნიშნული სიების აბსოლუტურ სიზუსტეზე,
თუმცა მიმაჩნია, რომ ისინი ეყრდნობა მაქსიმალურად და შე-
ძლებისდაგვარად გადამონმებულ ინფორმაციებს. ვინაიდან,
როგორც უკვე აღვნიშნე, ჩემი კვლევის მიზანი არ ყოფილა
საგვარეულოს სახელობითი სიების შედგენა, შესაბამისად
მე არ შემეძგენია ღარელი ჯელაძეების სახელობითი სიები.
ჩემი ნაშრომის გამოქვეყნების ერთ-ერთი მიზანი გახლდათ
მკითხველის საკუთარი გვარის ისტორიით დაინტერესე-
ბა. ნაშრომში არსებული ინფორმაცია საშუალებას იძლე-
ვა მკითხველმა თავად მოიძიოს მასში საკუთარი წინაპრე-
ბი. ვთვლი, რომ მკვლევარმა მკითხველს უნდა გაუჩინოს
ერთგვარი აზარტი, დაუტოვოს საზრუნავი, რათა თავად
დაინტერესდეს და განიცადოს წინაპართა მნიშვნელოვანი
ცხოვრებისეული მომენტები, შეადგინოს საკუთარი წინა-
პრების ხე. ეს კი მათში მეტ ინტერესს, ემოციას და სიახ-
ლოვეს გამოიწვევს წინაპრებისადმი. მოცემული სიატუცი-
იდან გამომდინარე ვფიქრობ, რომ ამის საშუალება მხოლოდ
წარმოშობით ღარელ ჯელაძეებს რჩებათ.

დასასრულს ფასდაუდებელი დახმარებისათვის მინდა
განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატო ქალბატონების,
მზევინარ და ჯაჯალა ჯელაძეების მიმართ. მიმაჩნია, რომ
მათმა მოწოდებულმა ინფორმაციებმა კიდევ უფრო გაამ-
დიდრეს წიგნი.

მინდა მადლიერება გამოვხატო აფხაზეთიდან დევნილი
და წარმოშობით ურავლების - გია ამროსის ძე ჯელაძის,
რუსუდან ივანეს ასულ ჯელაძის, მარინა მაქაცარიას, მზია
მეტრეველის, ურავლების ავთო იუსტის ძე ჯელაძის, ზაზა
ვიქტორის ძე ჯელაძის, ემზარ გურგენის ძე ჯელაძის, გუგა
ემზარის ძე ჯელაძის, გია ემზარის ძე ჯელაძის და ლე-
ვან ვალერიანის ძე ჯელაძის, ხაშურელი ჯელაძეების ვენგო
(გიორგი) ჯელაძის, ან გარდაცვლილი ირმა ჯუზუბეს ასუ-

ლი ჯელაძის, მიშიკო, რამაზ, დავით ჯელაძეების, წარმოშობით ლარელი ნაია ჯელაძის, ლარელი დავით ჯიბოს ძე ჯელაძის და მეველუდ ჯელაძის, თელაველი გოჩა ჯელაძის, ყვარელელების ლიანა, გოდერძი და ზურაბ ჯელაძეების, ლელიანელი ნიკოლოზ ჯელაძის და აფენელი ვასილ ჯელაძის მიმართ და სხვა ყველა იმ პირთა მიმართ ვინც თუნდაც მცირედი წვლილი შეიტანა ამ წიგნზე მუშაობისას. ასევე მადლიერება მინდა გამოვხატო ბატონ მერაბ კეზევაძის მიმართ, წიგნის რედაქტირების და წიგნზე მუშაობის პროცესში ფასეული რჩევებისათვის. ცალკე უნდა აღინიშნოს ჩემი შვილების - ერეკლე და ლევან ჭყონიების ტექნიკური და ფიზიკური დახმარება, რაც მათ წინამდებარე წიგნზე მუშაობისას გასწიეს.

განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო დედაჩემის, ნაზი არჩილის ასული ჯელაძის და ჩემი ბიძის ომარ ჯელაძის მიმართ, რომლებმაც განსაკუთრებით შემაყვარეს რაჭა, რაჭველები და ჯელაძეები, რაც სწორედაც რომ იყო აღნიშნული წიგნის დაწერის საფუძველი.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით დღემდე არ გამოქვეყნებულა არც ერთი გვარის მსგავსი ხასიათის გენეალოგიური კვლევა.

მოხარული ვიქნები, თუ წინამდებარე ნაშრომი სხვა საგვარეულოებსაც მისცემს სტიმულს დაიწყონ საკუთარი გვარების კვლევა ამ წიგნში გამოყენებული მეთოდებით.

წიგნის საგამომცემლო ხარჯები გადახდილ იქნა ჯელაძის გვარის წარმომადგენლების თანადგომით, რისთვისაც ყველას მადლობას ვწირავ.

ჯელაძის გვარის კვლევა ჩემ მიერ ჩატარებულ იქნა სრულიად უსასყიდლოდ, თუმცა ჯელაძეებს მინდა ვთხოვო ჩემი და ჩემი ოჯახის მოხსენება მათ ლოცვებში. ეს ჩემთვის ყველაზე დიდი საზღაური იქნება განეული შრომის და დახარჯული დროის სანაცვლოდ.

შესავალი

ნაშრომის მიზანი

წინამდებარე კვლევის მიზანია ჯელაძეების გვარის ეტიმოლოგიის, საგვარეულოს კავშირების, მიგრაციული პროცესების და განსახლების არეალის დადგენა, რაც თავისმხრივ ჯელაძეების გვარის წარმომადგენელთა დაახლოვებას და დაკავშირებას შეუწყობს ხელს.

წინის მეშვეობით ჯელაძეების გვარის წარმომადგენლები შეძლებენ მათი კონკრეტული წინაპრების მოძიებას და იდენტიფიცირებას, შეიტყობენ - მათ სახელებს და გვარებს, დაადგენენ საკუთარ გენეოლოგიურ შტოს, ნათესაურ და პირად კავშირებს, როგორც გვარში, ისე რიგ შემთხვევებში სხვა გვარის წარმომადგენლებთან, წინაპრების გარდაცვალების მიზეზებს, ცხოვრების ხანგრძლივობას, ქონებრივ და სოციალურ მდგომარეობას.

გენეალოგიაში გვარში არსებული ზეპირი გადმოცემა არა ერთადერთ, თუმცა ერთ-ერთ სარწმუნო ისტორიულ წყაროდ მიიჩნევა. წინამდებარე კვლევის ერთ-ერთი მიზანი სწორედ გვარში არსებული ზეპირი გადმოცემის გადამოწმება გახლავთ. საგულისხმოა, რომ ცნობილი ისტორიკოსი ნიკო ბერძენიშვილი ზეპირსიტყვიერ გადმოცემას ისტორიულ წყაროდ მიიჩნევს.

გვარებში არსებულ ზეპირი გადმოცემების სარწმუნოობაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ არაერთ გვარში არსებული გადმოცემა გენეტიკური კვლევების (დნმ-ის) საფუძველზე დადასტურდა.

ნაშრომში შესწავლილია ჯელაძეების გვარის ეტიმოლოგია, წარმომავლობა, საგვარეულოს კავშირები, განსახლების არეალი, გვარის მიგრაციული პროცესები, სოციალური და გენეტიკური წარმომავლობა.

დღეისათვის ჯელაძის გვარის წარმომადგენლები კომპაქტურად ცხოვრობენ რაჭაში-ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ლარსა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ

ურავში, ასევე, დაახლოებით XVIII საუკუნის ბოლოდან შიდა ქართლსა და კახეთში. კვლევის შედეგად დგინდება რომ ჯელაძის გვარი არის ერთფუძიანი და დასტურდება გვარში არსებული გადმოცემა ჯელაძეების რაჭიდან, კერძოდ, ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ღარიდან წარმომავლობის შესახებ.

ნაშრომში დნმ-ის გენეტიკური კვლევის მეშვეობით, რომელიც წარმომავლობით ღარელ ჯელაძეთა წარმომადგენლის ტესტირების შედეგად დადგინდა, რომ ის მიეკუთვნება საქართველოში ერთ-ერთ დომინანტურ ლაზურ-ჭანურ ჰაპლოჯგუფს, რაც ძირითადად გავრცელებულია სვანებში. იგივე ჰაპლოჯგუფი მრავლად გვხვდება რაჭაში.

კვლევის საჭიროებიდან გამომდინარე ნაშრომში განხილულია კახეთში, სოფელ წინანდალში XIX საუკუნის დასაწყისში მცხოვრები ზოგიერთი გვარის რაჭიდან წარმომავლობის და მიგრაციის საკითხები.

წიგნში გარდა ჯელაძეების წინაპრებისა მოიძიებთ ინფორმაციებს როგორც რაჭაში, ისე საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებული სხვა არაერთი გვარის და ამ გვარების წინაპართა შესახებ. შესაბამისად ნაშრომი დაეხმარება წიგნში შესული გვარების წარმომადგენლებს საკუთარი გვარის კვლევასა და წინაპრების მოძიებაში.

წიგნი წაადგებათ გვარების გენეალოგიით, დემოგრაფიით, ეთნოლოგიით და სტატისტიკით დაინტერესებულ მკვლევარებს.

ნაშრომში გამოყენებულია აღწერითი, ისტორიულ-მეცნიერებითი, მიზეზ-შედეგობრივი და სისტემური ანალიზის მეთოდები.

ნაშრომი ეფუძნება საქართველოს ეროვნულ არქივსა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ XVIII საუკუნის და XX საუკუნის ისტორიულ საბუთებს, კერძოდ, კამერალურ აღწერებს, საოჯახო და აღსარების მთქმელთა სიებს, საეკლესიო მეტრიკულ წიგნებს, საკომლო წიგნებს, გვარში არსებულ ზეპირ გადმოცემებს, საოჯახო არქივებს და პირად ინფორმაციებს.

კამერალური აღწერები და საოჯახო სიები

რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შემდეგ 1803 წლიდან იწყება მოსახლეობის აღწერა. აღწერებში შეყვანილია კონკრეტულ ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრები ოჯახები, ინფორმაცია ოჯახის შემადგენლობის, სულთა რაოდენობის, წევრთა ასაკის, ეროვნული კუთვნილების, სარწმუნოების, სამეტყველო ენის და წერა-კითხვის ცოდნის შესახებ. რიგ შემთხვევებში შესულია მონაცემები ოჯახის ქონების (სახლის, მიწის, პირუტყვის), ვალდებულების, საქმიანობის შესახებ.

ზოგიერთი წლის აღწერაში სახელობით შეყვანილი არიან მხოლოდ ოჯახის მამრობითი სქესის წარმომადგენლები, ხოლო მდედრობითი სქესის წარმომადგენლების შესახებ ინფორმაცია მოიცავს მხოლოდ მათ დამოკიდებულებას ოჯახის უფროსთან.

აღწერები ძირითადად დგებოდა ცალ-ცალკე ოჯახების სოციალური ნიშნის გათვალისწინებით, კერძოდ, ცალკე სახაზინო, ცალკე საბატონო და ასევე საეკლესიო გლეხების, ქალაქებში მოქალაქეთა, ვაჭრების და ხელოსნების და სხვა სოციალური კუთვნილებების მიხედვით.

ქართული გვარების ცნობილი მკვლევარი და მეცნიერი აკადემიკოსი როლანდ თოფჩიშვილი წერდა, რომ “XIX საუკუნის აღწერებმა დიდი მასალა მოგვცა ქართული გვარსახელებისა და პიროვნული სახელების შესახებ. ეს მასალები ერთ-ერთი ძირითადი წყარო იქნება ქართული გვარების ისტორიის შესაქმნელად.”² გარდა აღნიშნულისა შეიძლება ითქვას, რომ არაერთი გვარის ფორმირებას და შექმნას სწორედაც აღწერებში შეტანამ შეუწყო ხელი. სამწუხაროდ, ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ თბილისის გუბერნიის აღწერ-

² თოფჩიშვილი რ. XIX საუკუნის აღწერის დავთრები საქართველოს ეთნოისტორიული პრობლემების შესახებ. თბილისი, 2021 წ. გვ. 5.

ის დავთრებმა, ქუთაისის გუბერნიის ანალოგიური აღწერის დავთრები ჩვენს არქივებში არაა.³

როლანდ თოფჩიშვილის განმარტებით დასავლეთ საქართველოს XIX საუკუნის კამერალური აღწერის მასალები ცარიზმის პერიოდში ქუთაისიდან ყუბანში იქნა გატანილი და სამოქალაქო ომის დროს განადგურდა.⁴ საბედნიეროდ ქუთაისის არქივში ინახება დასავლეთ საქართველოს სოფლების მხოლოდ 1873 წლის კამერალური აღწერიდან ამონაწერები⁵ და სოფლების მიხედვით აღსარების მთქმელთა სიები.

აღსარების მთქმელთა სიები

როგორც ზემოთ უკვე ავღნიშნე დასავლეთ საქართველოს არქივებში კამერალური აღწერები არ მოგვეპოვება, ამიტომაც დასავლეთ საქართველოს არეალში გვარის კვლევისათვის და გენეოლოგიური ხის შესადგენად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და შეუფასებელი მნიშვნელობის წყარო გახლავთ აღსარების მთქმელთა სიები. ისინი შეიცავენ ოჯახის ყველა წევრის (ორივე სქესის) სახელობით მონაცემებს, მათ დამოკიდებულებას ოჯახის უფროსისადმი და ერთმანეთისადმი, ასაკს, და სოციალურ კუთვნილებას. „ქართულ წყაროთმცოდნეობაში აღსარების მთქმელ-

³ იქვე. გვ. 7.

⁴ იქვე. გვ.5-6.

⁵ აღნიშნული ამონაწერები შეიცავს ინფორმაციას მხოლოდ ოჯახის უფროსების შესახებ, მათ სახელს, გვარს, ასაკს, ასევე ოჯახის წევრთა რაოდენობას სქესობრივი კუთვნილების მიხედვით, ოჯახის სოციალურ კუთვნილების და ქონების შესახებ.

თა დავთრებს დიდი ისტორიული ღირებულება გააჩნიათ.“⁶ „აღსარების მთქმელთა დავთარი სანდო ისტორიული წყაროა, შედგენილი თანამედროვის მიერ და მრავალმხრივი, საინტერესო ინფორმაციის შემცველი.“⁷ სამწუხაროდ რაჭის სოფლების აღსარების მთქმელთა სიები არქივში ინახება მხოლოდ 1830 -იანი წლების ბოლოსა და 1840 წლების დასაწყისის პერიოდის და შესაბამისად გვარის კვლევისთვის მხოლოდ აღნიშნული წლები ვერ მოგვცემდა სრულყოფილ ინფორმაციას. სწორედ ამიტომაც რაჭაში ჯელადის გვარის კვლევა XIX საუკუნეში ძირითადად დაეფუძნა სოფლების საეკლესიო მეტრიკულ წიგნებს, თუმცა აღმოსავლეთ საქართველოში ფაქტობრივად დაეყრდნო კამერალურ აღწერებს და საოჯახო სიებს, რომლებიც როგორც ზემოთ აღინიშნა ეროვნულ ცენტრალურ საისტორიო არქივში შემონახულია და მოიცავს 1803 წლიდან 1886 წლის ჩათვლით პერიოდულად ჩატარებულ აღწერებს. შესაბამისად მათი საშუალებით შესაძლებელია გენეალოგიური ხის შედგენა. გარდა კამერალური აღწერებისა გენეალოგიური შტოს დასადგენად ჩემს მიერ გამოკვლეულ იქნა ასევე საეკლესიო მეტრიკული წიგნებიც, რისთვისაც გავეცანი შესაბამისი სოფლების ყოველი წლის წიგნებს.

⁶ მჭედლიძე გ. სოფელ ლეხაურის აღსარების მთქმელთა დავთარი (1842–1887 წწ.) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევები. პროგრამა თეზისები. 2017 წლის 18–21 ოქტომბერი, თბილისი, საქართველო. გვ.34.

⁷ იქვე.

საეკლესიო მეტრიკული წიგნები

„საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცულია საეკლესიო-მეტრიკული წიგნები 1818 წლიდან 1921 წლამდე (ცალკეულ შემთხვევებში ჩანაწერები გვხვდება 1930 წლამდეც). არქივში აღნიშნული დოკუმენტები არასრული სახითაა შემოსული, ნაკლულია როგორც ცალკეული ეკლესიების, ასე გარკვეული წლების მეტრიკული წიგნები.“⁸

იმ პერიოდში დაბადების, ქორწინების და გარდაცვალების აღრიცხვას მხოლოდ ეკლესია ახდენდა.

1871 წლიდან 1921 წლამდე შედგენილი მეტრიკული წიგნები გაყოფილია რაიონების მიხედვით. თითოეული საეკლესიო-მეტრიკული წიგნი მოიცავს ერთი რაიონის, ერთი სოფლის ტერიტორიაზე არსებული ეკლესიების ერთი წლის განმავლობაში გაკეთებულ ჩანაწერებს დაბადების, ჯვრისწერის და გარდაცვალების შესახებ. ეკლესიებზე მიწერილი იყო რომელიმე სოფელი ან რიგ შემთხვევებში რამდენიმე სოფელი და ყოველწლიურად ხდებოდა დაბადების, ქორწინების (ჯვრისწერის) და გარდაცვალების რეგისტრაცია. შესაბამისად, ელექტრონულ კატალოგში მონაცემები დაყოფილია მაზრებისა და რაიონების მიხედვით.

ნაშრომში თავმოყრილია სოფლების ღარის და ურავის ეკლესიების მეტრიკულ წიგნებში არსებული ინფორმაციები ჯელაძის გვარის წარმომადგენლების და მათი ოჯახის წევრების დაბადების, ქორწინების და გარდაცვალების შესახებ XIX საუკუნის ოციანი წლებიდან XX საუკუნის ოციან წლებამდე. ასევე შესულია ინფორმაციები დაქორწინების დროს მეუღლეთა და გარდაცვლილ პირთა ასაკის თაობაზე.

სხვა გვარების წარმომადგენლებთან ჯელაძეების ნათესაური კავშირების დადგენის მიზნით წიგნში შეყვანილი-

⁸ საქართველოს ეროვნული არქივის ვებგვერდი. ხელმისაწვდომია: <<https://archive.gov.ge/ge/metrikuli-tsignebis-sadziebeli-1>>[ნანახია 8 დეკემბერი 2022].

ია ყველა ის პირი, რომელიც აღნიშნულ პერიოდში რაიმე სახით იყვნენ დაახლოებული ამ გვართან, კერძოდ, მათი მიმრქმელები (ნათლიები), ნათლულები და მათი მშობლები, ასევე თავმდებნი (მეჯვარეები) და ის პირებიც ვისი თავმდებნიც თავად იყვნენ მათი ქორწინებისას ჯელაძეები.

გვარის სრულყოფილად კვლევისთვის გარდა ღარის და ურავის საეკლესიო მეტრიკული წიგნებისა, ჩემს მიერ მოძიებულ იქნა რაჭის, როგორც ონის, ისე ამბროლაურის სხვა სოფლების საეკლესიო წიგნის ჩანაწერები ქორწინებების შესახებ 1818 წლიდან 1871 წლამდე, საიდანაც ამოწერილ იქნა და წინამდებარე წიგნშია შეტანილი ყველა სააქტო ჩანაწერი, სადაც კი მოხსენებული იყო ჯელაძის გვარის წარმომადგენელი. 1871 წლამდე მეტრიკულ წიგნებში შესული იყო რამდენიმე სოფლის საეკლესიო ჩანაწერები. 1871 წლიდან კი თითოეული სოფლის ეკლესიაში ცალკე დგებოდა ყოველწიურად მეტრიკული წიგნები, ზოგჯერ ქართულ და ზოგჯერ რუსულ ენებზე. რუსულ ენაზე შედგენილი ჩანაწერებში პირთა სახელი და გვარი შეტანილია თავისთავად რუსული ინტერპრეტაციით.⁹ რიგ სოფლებში მოქმედი გახლდათ ორი ან მეტი ეკლესიაც კი, რის გამოც ერთ სოფელში დგებოდა რამოდენიმე მეტრიკული წიგნი. ყოველივე მნიშვნელოვნად ართულებდა კვლევას და ამიტომაც ამ ეტაპზე 1871 წლიდან შემდეგ შესწავლილ იქნა მხოლოდ სოფლების ურავის და ღარის საეკლესიო მეტრიკული წიგნები.

საოჯახო არქივის დოკუმენტები

ნაშრომში შესულია ურაველი ჯელაძეების საქმეზე სამედიცინო სასამართლოს აქტები დაშეთანხმებები, ასევე მიწის ნასყიდობის დოკუმენტები. აღნიშნული დოკუმენტაციის

⁹ მაგალითად, მარიამს წერდნენ მარიად, ბარბარეს ვარვარად, თევდორეს ფეოდორად, მათეს მატვეიდ, მართას მარფად და აშ..

დედნების ფოტო ასლები გადმოგვცა სოფელ ურავში მცხოვრებმა ზაზა ვიქტორის ძე ჯელაძემ, რომლის საოჯახო არქივშიც ინახებოდა საბუთები. ხელშეკრულების მხარეების და მოდავე მხარეების გარდა საბუთებში მოხსენებული არიან სხვა პირებიც, კერძოდ, მიწის ნაკვეთის მეზობელი მიწების მფლობელები და მონმეები. ამ დოკუმენტების მეშვეობით დგინდება მასში მოხსენებულ პირთა ქონებრივი მდგომარეობა და საცხოვრებელი ადგილები. შესაბამისად უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული დოკუმენტები შეიცავს საკმაოდ ღირებულ ინფორმაციებს ჯელაძის გვარის კვლევისთვის და სოფელ ურავის ისტორიისთვისაც.

ჯელაძეების გვარის წარმომადგენელთა საერთო რიცხვოვნობა და განსახლების არეალი

ჯელაძეების გვარის წარმომადგენლები დღეისათვის კომპაქტურად ცხოვრობენ რაჭაში- ონის მუნიციპალიტეტში სოფელ ღარსა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტში- სოფელ ურავში, შიდა ქართლში - ხაშურსა და ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლეგში, კახეთში - ყვარლის მუნიციპალიტეტში სოფელ ახალსოფელში. ჯელაძეები ასევე ცხოვრობენ თბილისში, რუსთავში, ქუთაისსა და საქართველოს სხვა კუთხეებში.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციით **საქართველოში რეგისტრირებულია სულ 795 ჯელაძის გვარის წარმომადგენელი**, რომლებიც ცხოვრობენ ქვეყნის სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში, კერძოდ: ონში (99ადამიანი), ამბროლაურში (64), ხაშურში (83), ყვარელში (23), თბილისში (175), რუსთავში (100), ქუთაისში (14), ბორჯომში (8), თელავში (8), ლაგოდეხში (8), ოზურგეთში (1), გურჯაანში (2), დედოფლისწყაროში (2), დუშეთში (1), ზესტაფონში (11), ლანჩხუთში (3), მცხეთაში (4), სიღნაღში (1), ქარელში (3), ჩხოროწყუში (1), წყალტუბოში (18) და ხარაგაულში (1). ამავე ვებგვერდზე მითითებულია ინფორმაცია იძულებით გადაადგილებულთა შესახებ. აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი ჯელაძეები რეგისტრირებულნი არიან, ასევე დღეს უკვე ოკუპირებულ ტერიტორიებზე, კერძოდ, გაგრაში (8), გალში (2), გუდაუთაში (37), გულრიფში (7), ოჩამჩირეში (1), სოხუმში (99), ტყიბულში (2), ცხინვალში (1).¹⁰

¹⁰ საინტერესო სტატისტიკა. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ვებგვერდი ხელმისაწვდომია: <<https://intpass.sda.gov.ge/NameStatistics.aspx>>[ნანახია 8 დეკემბერი 2022].

პირველი ცნობები ჯელაძეების გვარის შესახებ

ჯელაძის გვარი ისტორიულ წყაროებში პირველად მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩნდება, კერძოდ, შოშიტა მეტრეველის შვილების შეყრილობის წიგნში, სადაც მონმედ მოხსენებულია ბუჭია ჯელაძეც. მასთან ერთად ასევე სხვა გვარებთან ერთად მოხსენებულია გვარები ჯაშიაშვილი, ორდინიძე (საბუთში ონდინიძე) და არჩვაძე.¹¹ მეტრეველი და მონმედ ჩამოთვლილი ზემოაღნიშნული გვარები იყვნენ და არიან ლარში გავრცელებული ძირძველი გვარები,¹² შესაბამისად ბუჭია ჯელაძე სოფელ ლარის მცხოვრები უნდა ყოფილიყო. აღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ჯაშიაშვილები და ისიც ერთი კომლი, XIX საუკუნის ორმოციანი წლების რაჭაში მხოლოდ სოფელ ლარში ცხოვრობენ.¹³

XVIII საუკუნის მეორე ისტორიული წყარო, სადაც ჯელაძეების გვარია მოხსენებული, გახლავთ განჩინება იაკობ და ბერი ქარუმიძეების ყმების ჯილაძეების საქმეზე. განჩინება შედგენილია 1798 წლის 14 ივნისს. აღნიშნულ საბუთში, მართალია, ჯელაძის ნაცვლად ჯილაძეა მითითებული, თუმცა ეჭვგარეშეა, რომ იქ მოხსენებული ძმები სვიმონიკა და დათიკა, ჯელაძეები იყვნენ. განჩინებაში მოთხრობილია, რომ ისინი თორზიტას ლეჩხუმიდან გადმოსულიყვნენ. მოგეხსენებათ ლეჩხუმი რაჭის მოსაზღვრე კუთხეა და რაჭიდან ლეჩხუმში ან პირიქით, მიგრაცია არც, თუ იშვიათი იყო. შესაბამისად სიმონიკა და დათიკა, რაჭიდან უნდა

¹¹ დოლიძე ი. ქართულის სამართლის ძეგლები, VIII. 1985, თბ., გვ. 935.

¹² იხ. გობეჯიშვილი ვ. ჩემი თვალთ დანახული რაჭა. თბ., 2017 წ. გვ. 519; კეზევაძე მ. გვარები XIX საუკუნის რაჭაში. 2018, თბ., გვ. 40.

¹³ კეზევაძე მ. გვარსახელები XIX საუკუნის რაჭაში. 2018, თბ., გვ. 40, 80.

იყვნენ. აღნიშნული დასტურდება იმით, რომ XIX საუკუნის ორმოციან წლებშიც კი ჯილაძეები ლეჩხუმში საერთოდ არ ცხოვრობენ.¹⁴ მიმაჩნია, რომ მათი ლეჩხუმიდან გადმოსვლის ფაქტი ამყარებს ჩემს პოზიციას. გარდა აღნიშნულისა, განჩინებაში, როგორც უკვე აღვნიშნე, მოთხრობილია სომონიკა და დათიკას თორზიტაში ლეჩხუმიდან გადმოსვლის შესახებ, რაც ვთვლი, რომ არ მიუთითებს მათ წარმომავლობაზე. განჩინებაში არსად არის ნახსენები, რომ ისინი ლეჩხუმელები არიან. მიმაჩნია, რომ საბუთში მითითება მხოლოდ მასზედ, რომ ისინი ტორზიტას გადმოვიდნენ ლეჩხუმიდან, სადაც შესაძლოა, ასევე დროებით იყვნენ საშოვარზე ჩასულები რაჭიდან. გარდა ამისა, ჩემს მოსაზრებას სიმონიკა და დათიკას ჯელაძეობის თაობაზე ასევე ადასტურებს, ის ფაქტი, რომ დღეს საქართველოში ცხოვრობს მხოლოდ 8 ჯილაძე, აქედან ლეჩხუმის ტერიტორიაზე არც ერთი წარმომადგენელი არ ცხოვრობს. ჯილაძეებიდან დღეს 2 ადამიანი ცხოვრობს ზუგდიდში, 2 მცხეთაში, ხოლო 4 ხობში.¹⁵

ჯელაძეების გვარის ეტიმოლოგია

ჯელაძეების გვარში არსებული გადმოცემის თანახმად მათი გვარის წარმომადგენლები ჯეელად ანუ ახალგაზრდულად გამოიყურებოდნენ და სწორედ აქედან მოდის მათი გვარიც. სავარაუდოდ, გვარი წინაპრის საკუთარ სახელად ქცეული მეტსახელი „ჯელა“ - დან ან/და „ჯეელი“ - დან უნდა იღებდეს სათავეს. შესაძლოა, მართლაც ერთ-ერთ

¹⁴ კეხევაძე მ. გვარსახელები XIX საუკუნის ლეჩხუმში. 2018, თბ., გვ. 36.

¹⁵ საინტერესო სტატისტიკა. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ვებგვერდი. <<https://intpass.sda.gov.ge/NameStatistics.aspx> >[ნანახია 8 დეკემბერი 2022].

წინაპარს მეტსახელი ჯეელი შეარქვეს, იმისთვის, რომ ის ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. საინტერესოა, რომ ჯელაძის გვარში XX საუკუნეში დასტურდება მეტსახელი „ჯელიკა“, რომელიც სავარაუდოდ მეტსახელი ჯელაძან უნდა მომდინარეობდეს და მის თიკუნს, ანუ კნინობით სახელს წარმოადგენს.

ჯელაძეების გვარის გენეტიკური წარმომავლობა

„მეოცე საუკუნის ბოლოდან კაცობრიობას თავისი წარმომავლობის შესწავლის ახალი, უტყუარი ინსტრუმენტი გაუჩნდა. ეს არის გენეტიკური გენეოლოგია. დნმ — ის შესწავლა გვაძლევს საშუალებას გავარკვიოთ ადამიანების წარმომავლობა, მიგრაციების გზები და ეთნიკური ჯგუფების ურთიერთკავშირები“.¹⁶


2020 წელს ჯელაძის გვარის კვლევის პერიოდში, ჩემმა ბიძამ, წარმომავლობით ღარელმა ომარ არჩილის ძე ჯელაძემ ჩაიტარა დნმ - ის კვლევა (12 მარკერზე) გენეტიკური ტესტირების უმსხვილეს კომპანია “Family Tree” – ში,¹⁷ რომელიც ახორციელებს კვლევით პროექტს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ტესტირების შედეგად დადგინდა, რომ მისი დნმ-ი მიეკუთვნება ჰაპლოჯგუფს, რომელიც უმეტესად დომინანტია დასავლეთ საქართველოში და მას მიაკუთვნებენ ლაზურ-ჭანურს. აღნიშნული ჰაპლოჯგუფი ძირითადად გავრცელებული გახლავთ სვანებში. იგივე ჰაპლოჯგუფი მრავლად გვხვდება რაჭაში.

იმისათვის, რომ უტყუარად, უკვე დნმ-ის დონეზე დადგინდეს ჯელაძის გვარის წარმომადგენლების საერთო

¹⁶ ქართული დნმ პროექტის ვებგვერდი ხელმისაწვდომია: <<http://geodna.ge/info>>/[ნანახია 7 დეკემბერი 2022].

¹⁷დნმ-ის შედეგები. <<https://www.familytreedna.com/public/georgia/default.aspx?section=yresults>>

წარმოშობა, საჭიროა ჩაიტარონ გენეტიკური კვლევა წარმოშობით ღარელმა, ურაველმა, ხაშურელმა და ყვარლელმა ჯელაძეებმა. თუმცა უზუსტობის გამოსარიცხად სასურველია, რომ კვლევა ჩაიტარონ თვითოეული ზემოთჩამოთვლილი მუნიპალიტეტიდან წარმოშობით ორ - ორმა წარმომადგენელმა.



ომარ ჯელაძის სერთიფიკატი

ჯელაძეების გვარის წარმომავლობა და უძველესი საცხოვრისი

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე ჯელაძეთა გვარის შესახებ პირველი ცნობები სოფელ ღარს უკავშირდება.

ღარის, ურავის, ხაშურის და კახეთში მცხოვრები ჯელაძეებში არსებული ზეპირი გადმოცემის თანახმად მათი გვარის წარმომავლობის ადგილად რაჭა მიიჩნევა, რაც წინამდებ-

ბარე კვლევითაც დასტურდება. მეტიც, ისინი მათი გვარის უძველეს საცხოვრისად სოფელ ღარს თვლიან. ამ გადმოცემას, გარდა კვლევაში ქვემოთ მოყვანილი ფაქტების ერთობლიობისა, ასევე ადასტურებს, ის, რომ ურაველი და ხაშურელი ჯელაძეები ოდითგანვე დადიოდნენ საჯვარეობაზე - სოფელ ღართან, ღარულას ხეობის ზემო წელში მდებარე ცნობილ სალოცავ საჯვარეში, რომელიც იმართება ყოველწლიურად ზაფხულში.

აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი აღწერდა რა ფეოდალურ საქართველოში ქართველი გლეხის ყოფას, წერდა - „დადის ქართველი გლეხი და ეძებს გასაძლის ქვეყანას: მინას, მშვიდობას და თავისუფლებას, დადის საუკუნეთა მანძილზე, მრავალ ადგილს იცვლის, მაგრამ „ძირი-ხატი“, ძირი -სალოცავი არ ავიწყდება.“¹⁸ იგი ასევე მოსახლეობის ადგილმონაცვლობის ძებნის ყველაზე საიმედო საშუალებად სწორედაც „ძირი ხატის“ ძიებას მიიჩნევდა და მოუწოდებდა ამ საშუალების მაქსიმალურად გამოყენებას „სანამ გვიანი არ არის.“¹⁹

XIX საუკუნის ორმოციანი წლების მთელს რაჭაში ცხოვრობს ჯელაძეების მხოლოდ 4 ოჯახი, აქედან 3 სოფელ ღარში და 1 სოფელ ურავში.²⁰

უნდა აღინიშნოს, რომ გვარის უკიდურესად მცირერიცხოვნობა შეიძლება მიუთითებდეს ორ სრულიად საპირისპირო გარემოებაზე, კერძოდ, გვარი არის გაქრობის პირას, ან გვარი არის არცთუ დიდი ხნის. ის, ვერსია, რომ ჯელაძის გვარი გაქრობის პირას იყო, გამორიცხულია, ვინაიდან წყაროებით უდავოდ დასტურდება ჯელაძის გვარის მნიშვნელოვანი ზრდა, კერძოდ, სოფელ ღარში სამივე ოჯახი 1943 წლისთვის შედგება 27, ხოლო ურავში მცხოვრები ერ-

¹⁸ ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, ისტორიული გეოგრაფია, ტ. I. თბ., 1964, გვ. 235.

¹⁹ იქვე გვ. 235.

²⁰ კეზევაძე მ. გვარსახელები XIX საუკუნის რაჭაში. 2018, თბ., გვ. 34,40,80.

თადერთი ოჯახი 8 სულისაგან.²¹ უკვე 1873 წლის კამერალური აღწერების თანახმად სოფელ ღარში ცხოვრობს ჯელაძეების 6 ოჯახი, რომელიც შედგება 72 სულისაგან. ამავე აღწერით სოფელ ურაგში ცხოვრობს ჯელაძეების ერთი 23 სულიანი ოჯახი.²² დღეს არსებული მონაცემებით ჯელაძის გვარი უკვე 798 კაცს ითვლის.²³

ღარში, ურაგში, ხაშურსა და კახეთში მცხოვრები ჯელაძეებში არსებული გადმოცემის თანახმად მათი გვარის წარმომავლობის ადგილად რაჭა მიიჩნევა, რაც წინამდებარე კვლევითაც დასტურდება. მეტიც, ისინი მათი გვარის უძველეს საცხოვრისად, როგორც ზემოთ აღვნიშნე სოფელ ღარს თვლიან. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ნაშრომში მეტყველებს ის საგულისხმო ფაქტი, რომ ურაველი და ხაშურელი ჯელაძეები ოდითგანვე დადიოდნენ საჯვარეობაზე - ღარულას ხეობის ზემო წელში მდებარე ცნობილ სალოცავ საჯვარეში. საჯვარეობა იმართება ყოველი წლის ზაფხულში.

ჯელაძის გვარის წარმომავლობის განსხვავებული და საინტერესო ვერსია მიაშობო თბილისში მცხოვრებმა და აფხაზეთიდან დევნილმა, წარმომავლობით ურაველმა, ლევან ვალერიანის ძე ჯელაძემ. მან გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში თურქეთში მოგზაურობისას, საქართველოს ისტორიულ მხარე შავშეთში შემთხვევით გაიცნო თურქეთში მცხოვრები ლაზი, რომელმაც მას აცნობა, რომ მისი წინაპრების გვარი იყო ჯელაძე. უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთში მცხოვრები ლაზები ოფიციალურად თურქულ გვარებს ატარებენ და მათ საკუთარი გვარები მხ-

²¹ ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 21, ანაწერი1, საქმე №4252, გვ. 42.

²² ქცა, ფ. 8, ან. 1, საქ. №818.

²³ საინტერესო სტატისტიკა. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ვებგვერდი ხელმისაწვდომია: <<https://intpass.sda.gov.ge/NameStatistics.aspx>>[ნანახია 8 დეკემბერი 2022].

ოლოდ წინაპრების გადმოცემით იციან.²⁴ საინტერესოა, რომ აჭარასა და შავშვეთში ცხოვრობენ გვარჯელაძეები და ბა-ჯელაძეები.²⁵ შესაძლოა, რომ ამ გვარების ფუძე სწორედაც გვარი-ჯელაძე იყოს. გვარ-ჯელაძე შეიძლება ნიშნავდეს გვარით ჯელაძეს. მსგავსი დამატება გვარებზე უცხო არაა ქართული გვარებისათვის, მაგალითად, გვარები - გოგისვა-ნიძე, ბარსვანიძე, თექეთურმანიძე, გოგიბერიძე, თავბერიძე და სხვა. აქედან გამომდინარე, არცთუ უსაფუძვლოდ შეი-ძლება მივიჩნიოთ ჯელაძეების ლაზეთიდან წარმომავლობა ერთ-ერთ ვერსიად.

საინტერესოა, ასევე, რომ აფხაზეთიდან დევნილი და წარმომავლობით ურაველი დების-მზევინარ და ჯაჯალა ჯელაძეების ინფორმაციით, მათმა ან გარდაცვლილმა ნა-თესავემა მარტვილელმა ანზორ ევგენის ძე ჯელიამ უამბო, რომ ჯელიები წარმოშობით რაჭველი ჯელაძეები არიან.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, დადასტურებულად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ჯელაძეების გვარი არცთუ დიდი ხნის ისტორიას ითვლის ან შესაძლოა სხვა ჩვენთვის უცნობი გვარის განაყარია. ამის დამადასტურებლად შეი-ძლება ჩაითვალოს ასევე ის ფაქტი, რომ ჯელაძეების გვარი ისტორიულ წყაროებში მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახ-ევრიდან ჩნდება.

²⁴ ხელმისაწვდომია: <<http://geogen.ge/ge/treasurege/79/4306/>> [ნანახ-ია 7 დეკემბერი 2022].

²⁵ აღნიშნულზე დანვრილებით იხ. თოფჩიშვილი რ. ისტორი-ულ-ეთნოგრაფიული სამხრეთი საქართველო და ქართველები თურქეთში, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2017 წ., გვ. 160, 161. საინტერესოა, რომ თურქეთში, სინოპის სოფელ სინე-ჯანში დასტურდება მეტსახელი, ანუ შერქმეული გვარი ჯელა-თოლლი (ოლლი შვილს ნიშნავს), რომლის უწინდელი გვარიც ცნობილი არაა. იგივე მეტსახელი (თურქულად ლალაბი) გოლჯუ-კის რაიონის სოფელ ჰამიდიეში დასტურდება, სადაც ეს გვარი ბორჩხიდან გადმოსახლებულა. 163, 192.

ჯელაძეების გვარის სოციალური წარმომავლობა

რაც შეეხება ჯელაძის გვარის წარმომადგენელთა სოციალურ წარმომავლობას, ჯელაძეები რაჭაში საბატონო გლეხები გახლდნენ. სოფელ ღარში ისინი თავად ჯაფარიძეთა ყმები იყვნენ, სოფელ ურავში კი აზნაურ გოცირიძეთა ყმები. 1873 წლის კამერლურ აღწერაში ჯელაძის ოჯახი დროებით ვალდებული გლეხების კატეგორიაშია მოხსენებული. რაც შეეხება ხაშურსა და კახეთს, აქ ჯელაძეები სახაზინო გლეხებად გვევლინებოდნენ და ხიზნებად იწერებოდნენ.

ჯელაძეები სოფელ ღარიდან

„სოფელი ღარი გახლავთ ერთ-ერთი უძველესი საცხოვრებელი ადგილი რაჭაში. სოფლის ტერიტორიაზე ნაპოვნია კოლხურ-ყობანური ტიპის ცულები, რომლებიც ძვ. წ. მე-2 ათასწლეულის დასასრულს მიეკუთვნება. აქვე ნაპოვნია ძვ. წ. IV-V საუკუნეების მეტად საინტერესო ვერცხლის ნივთი (ე.წ. ყანჩა) კოსმეტიკური დანიშნულებისთვის. სოფელი ისტორიულ წყაროებში მოხსენებულია XVII საუკუნიდან.“²⁶

ღარი მდებარეობს ზღვის დონიდან 940 მეტრზე და მოიცავს მდინარე ღარულას აუზს. ამჟამად სოფელში ცხოვრობს 348 (კაცი), სულ 118 (კომლი).²⁷ სოფელი ღარი შედის ონის მუნიციპალიტეტში.

ღარელი ჯელაძეები გაირჩევიან მათი წინაპრის სახელებით, კერძოდ, გუგუტანთი,²⁸ ანდრიაანთი, ივა-

²⁶ გობეჯიშვილი ვ. ჩემი თვალთ დანახული რაჭა. თბ., 2017 წ. გვ. 517,518.

²⁷ ონის მუნიციპალიტეტის ვებგვერდი. ხელმისაწვდომია: <https://oni.gov.ge/?page_id=3276>[ნანახია 8 დეკემბერი 2022].

²⁸ გუგუტა გახლდათ იგივე გიორგი დავითის ძე (დავით შიოს ძე ჯელაძე - შეტანილია ოჯახის უფროსად 1841 წლის აღსარების

ნეანთი, ფაციანთი, მაიანთი, კვირიანთი, შიუკანთი, კაციანთი და ანაანთი. სოფელ ღარში ადგილი, სადაც ცხოვრობენ ჯელაძეები, ჯელაძეების უბნის სახელით გახლავთ ცნობილი.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, 1841-43 წლების აღსარების მთქმელთა სიის მიხედვით, სოფელ ღარში ჯელაძის სულ სამი ოჯახი ცხოვრობს. სამივე ოჯახი გახლავთ ერთი ოჯახის განაყარი, კერძოდ, შიო იგივე შოშიტა ჯელაძის შთამომავლობა.

ინფორმაციისთვის დავძენ, რომ ჩემი წინაპრები დაახლოებით მე-20 საუკუნის დასაწყისამდე ცხოვრობდნენ ადგილზე, რომელიც ღარში კობზანეველას სახელითაა ცნობილი. ეს ადგილი დღეისათვის უკვე ტყითაა დაფარული, თუმცა იქ დღემდე შემორჩენილია მათი ნასახლარები.

უნდა ავღნიშნო, რომ დედაჩემის ბაბუის, მარკოზ დავითის ძე ჯელაძის ნასახლარში დღემდე დევს წკბერის ქვა, რომელსაც იყენებდნენ დანურული ყურძნის გამოსაწურად სიმძიმისთვის.

ღარელი ჯელაძეების ერთი შტო ცხოვრობს თელავის რაიონის სოფელ წინანდალსა და ქალაქ თელავში. წინანდალში მცხოვრები გოჩა თენგიზის ძე ჯელაძის ინფორმაციით თელავის შტოს სათავე მისმა პაპამ- ვიქტორ სიმონის ძე ჯელაძემ და ვიქტორის ძმამ- პარმენ სიმონის ძე ჯელაძემ დაუდეს. ისინი საცხოვრებლად ღარიდან გადმოვიდნენ დაახლოებით 1937 წელს.

ღარიდან გადმოსახლებული ჯელაძის ერთი ოჯახი ცხოვრობს ასევე ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანშიც, სადაც ის 1955 წლიდან დამკვიდრდა. ღარელი ჯელაძეების ცხოვრობენ შთამომავლები ცხოვრობენ ასევე ლაგოდეხის რაიონის სოფელ აფენში და ლელიანში. აფენში ჩასახლება მოხდა 1900 წელს, ხოლო ლელიანში მოგვიანებით, საბჭოთა პერიოდში.

მთქმელთა სიაში.).

ჯელაძეები ლარის 1841 წლის აღსარების მთქმელთა სიაში ²⁹

თავად სიკო ჯაფარიძის:³⁰

მამუკა შოშიტას ძე ჯელაძე 72 წლის.

ცოლი მისი მარიამი დავითის ასული 56 წლის.

ძმისწული მამუკასი ივანე თამაზას ძე 39 წლის.

ცოლი მისი ზექალა გოგიას ასული 32 წლის.

შვილი ივანესი ბარბარე 13 წლის.

ძმა ივანესი იოსებ 25 წლის.

ცოლი მისი ტასია შიოს ასული 22 წლის.

შვილი მათი თათია 1 წლის.

დათინა შიოს ძე ჯელაძე 56 წლის.

ცოლი მისი მეწყინა გოგიას ასული 54 წლის.

შვილნი მათი:

ა. სვიმონა 37 წლის.

ცოლი სვიმონისი მაია ნასხიდას ასული 34 წლის.

შვილნი მათი:

მიქელა 14 წლის.

კვირია 12 წლის.

ბ. გიორგი 30 წლის.

ცოლი გიორგისი მარიამ სვიმონის ასული 26 წლის.³¹

გ. ნასხიდა 21 წ.

დ. დიმიტრი 16 წლის.

ე. გოგია 10 წლის.

ვ. კაცია 5 წლის.

და ანნა 1 წლის.

²⁹ ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 21, საქმე 2034, ფ.164.

³⁰ ლარელი ჯელაძეები იყვნენ თავად ჯაფარიძეთა ყმები და შესაბამისად აქ სწორედ ეს იგულისხმება.

³¹ გიორგი იგივე გუგუტა და მარიამი დაქორწინდნენ 1834 წელს სოფელ ძეგლევში. მარიამი იყო ნაკიეთელი.

ჯელაძეები ღარის 1943 წლის აღსარების მთქმელთა სიაში³²

თავად სიკო ჯაფარიძის:

ივანე თამაზის ძე ჯელაძე 41 წლის.

ცოლი მისი ზექალა გიორგის ასული 35 წლის.

შვილი ივანესი ბარბარე 16 წლის.

ძმა ივანესი იოსებ 24 წლის.

ცოლი მისი ტასია შიოს ასული 24 წლის.

შვილი მათი თამაზა 3 წლის.

დედა ივანესი თეთრუა დავითის ასული 63 წლის.

ბიცოლა ივანესი მარიამ დავითის 72 წლის.

დათინა შოშიტას ძე ჯელაძე 54 წლის.

ცოლი მისი მეწყინა გიორგის ასული 50 წლის.³³

შვილნი მათი:

ა. სვიმონი 39 წლის.

ცოლი სვიმონისი მარიამ ნასყიდას ასული 36 წლის.

შვილნი მათი:

მიქელა 16 წლის.

კვირია 14 წლის.

ბ. გიორგი 35 წლის.

ცოლი გიორგისი მარიამ სვიმონის ასული 24 წლის.

გ. ნასხიდა 23 წლის.

ცოლი ნასხიდასი ელისაბედ შიოს ასული 20 წ.

დ. პეტრე 17 წლის.

ე. გიორგი 12 წლის.

ვ. ფრიდონ 12 წლის.

კაცია 10 წლის.

ანნა 2 წლის.

³² ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 21, საქმე №4252, ფ. 42.

³³ მეწყინას ასაკი 1841 წლის სიაში ჩანწერილია 54 წელი, ხოლო 1834 წლის სიაში კი 50 წ., რაც აშკარა ტექნიკური შეცდომაა. ვინაიდან 1841 წლის სიაში ის გახლავთ 54 წლის, შესაბამისად 1843 წლის აღწერაში ის უნდა იყოს 56 წლის.

თავად გიორგი ჯაფარიძის:

გიორგი მამუკას ძე ჯელაძე 34 წლის.

ცოლი გიორგისი თინია ხეჩუღას ასული 32 წლის.

შვილნი მათი:

ივანე 13 წლის.

ანნა³⁴

³⁴ ფურცელი დაზიანებულია და ანნას ასაკი ნაშლილია.

ჯელაძეები სოფელ ღარის 1873 წლის კამერალურ აღწერაში³⁵

გოგინა ჯელაძე - 3 კაცი, 1 ქალი. გელოვანის ყმა.³⁶

ყარაჯა - 3 კაცი, 3 ქალი. ლუარსაბ ჯაფარიძის ყმა.

ივანე 6 კაცი, 6 ქალი. თავად სიკო ჯაფარიძის ყმა.

გუგუტა ჯელაძე 4 კაცი, 2 ქალი - თანასაკუთრება პეტრე ჯელაძესთან 12 ქცევა სახნავი მიწა.

პეტრე ჯელაძე -13 კაცი, 11 ქალი. (გუგუტას და პეტრეს თანასაკუთრებაში აქვთ 12 ქცევა სახნავი მიწა).

სიმონ ჯელაძე 11 კაცი, 9 ქალი.

³⁵ ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 8, ანაწერი 1, საქმე №818. არქივში შემორჩენილია ამონაწერები 1873 წლის კამერალური აღწერიდან, რომელშიც შეყვანილია მხოლოდ ოჯახის (კომლის) უფროსები, ასევე ოჯახის წევრთა რაოდენობა და სქესი.

³⁶ სავარაუდოდ მეზობლის გვარი გელოვანი შესაძლოა აღწერაში შეცდომით ეწეროს.

ამონაწერები სოფელ ღარის საეკლესიო მეტრიკული წიგნებიდან

(დაბადება, ქორწინება, გარდაცვალება)

1829 წელი

სოფელი ღარი³⁷

დაბადება

დაბადება 5 თებერვალი/ნათლობა 5 თებერვალი. ნინო -
მამა გოგელა ჯელაძე.³⁸

1830 წელი

სოფ. ღარი³⁹

დაბადება

დაბადება 1/ნათლობა 15. გიორგი - მამა სვიმონა ჯელაძე.
მიმრქმელი თავადი სიკო ჯაფარიძე.

დაბადება 4 ივლისი/ნათლობა 26 ივლისი. დავით - მამა გო-
გია მჭელიძე. ნათლია მამუკელა ჯელაძე.

1831 წ.

დაბადება

დაბადება 1 აპრილი/ნათლობა 20 აპრილი. სვიმონ - მამა
ნინია მარკოიშვილი. მიმრქმელი ივანე ჯელაძე.

³⁷ ფონდი 489, ანაწერი 6, საქმე №93ა.

³⁸ მე-19 საუკუნის 20-იან და 30-იანი წლების დასაწყისის მეტრიკულ
წიგნებში ბავშვის დაბადების ჩანაწერებში მშობლებიდან
ძირითადად იწერებოდა მხოლოდ მამა.

³⁹ საქმე 117.

ქორწინება

6 დეკემბერი. სასიძო - გლახუა ორდენიძე. სარძლო - ხუტუა ჯელაძის ასული დოდო.

სარძლოს თავმდებნი გიორგი და გლახუა ჯელაძეები.

გარდაცვალება

16 აპრილი. საბატონო ყმა თამაზა ჯელაძე, გარდაცვალა საოფლეით, 50 წლის.

1832 წ.

დაბადება

დაბადება 1 თებერვალი/ნათლობა 7 თებერვალი. ტასია - მამა სვიმონ დავითის ძე ჯელაძე. დედა მარიამ სვიმონის ასული. მიმრქმელი აზნაური სიკო გრიგოლის ძე ჯაფარიძე.

დაბადება 2 მარტი/ნათლობა 16 მარტი. მარიამ - მამა გოგინა მამუკას ძე ჯელაძე. დედა თინია მამუკას ასული.

დაბადება 4 ნოემბერი/ნათლობა 10 ნოემბერი.⁴⁰ ფრიდონ - მამა დავით გიორგის ძე ჯელაძე. დედა თამარ მამუკას ასული.

ქორწინება

1 აგვისტო. სასიძო - სოფელ ღარს მცხოვრები ალფეზა სეხნიას ძე ორდენიძე. სარძლო - ხაზუა დათინას ასული. სარძლოს თავმდები ივანე თამაზას ძე ჯელაძე.

1833 წ.

დაბადება

დაბადება 11 ოქტომბერი /ნათლობა 27 ოქტომბერი. თინათინი - მამა გელუნა დავითის ძე ჯელაძე. დედა ხვაშია კვირიას ასული. მიმრქმელი ამავე სოფლის ყმა ივანე თაზუნას ძე ჯელაძე.

⁴⁰ მინაწერია - მეათერთმეტესა დღესა.

1834 წ.

დაბადება

დაბადება 11 ოქტომბერი/ნათლობა 27 ოქტომბერი. თინათინი ⁴¹ - მამა გელუნა დავითის ძე ჯელაძე. დედა ხვაშია კვირიას ასული. მიმრქმელი ამავე სოფლის ყმა ივანე თაზუნას ძე ჯელაძე.

1836 წ.

დაბადება

დაბადება 2 მარტი /ნათლობა 30 მარტი. კაცია - მამა დათინა შოშიტას ძე ჯელაძე. დედა მეწყინა დათუას ასული. ნათლია თავადი სიკო გრიგოლის ძე ჯაფარიძე.

დაბადება 15 აპრილი/ნათლობა 27 აპრილი. ელისაბედ - მამა სვიმონა დათინას ძე ჯელაძე. დედა მათა ნასყიდას ასული.

დაბადება 1 ივნისი/ნათლობა 16 ივნისი. იოანე - მამა შოშუნა ფაცვიას ძე მარკოიშვილი. ნათლია ივანე თაზუნას ძე ჯელაძე.

ქორწინება

16 ნოემბერი - სასიძო - სოფელ ხურუთს მცხოვრები საბატონო ყმა სვიმონა მამუკას ძე გობეჯიშვილი, სარძლო - მარიამ გლახუას ასული. სარძლოს თავმდებნი ღარს მცხოვრებნი გიგოლა დავითის ძე ორდინიძე და გოგელა მამუკას ძე ჯელაძე.

1837 წ.

დაბადება

დაბადება 7 იანვარი/ნათლობა 20 იანვარი. სოფიო - მამა გლახუნა თამაზას ძე ჯელაძე. დედა მარია კაციას ასული.

გარდაცვალება

20 მარტი. გლახუნა თაზიკოს ძე ჯელაძე, 50 წლის, გულის ტკივილით.

⁴¹ თინათინის დაბადების ჩანაწერი წინა წლის წიგნშიც არის შეტანილი.

1838 წ.

დაბადება

დაბადება 1 ივლისი /ნათლობა 16 ივლისი - იოსები - მამა სვიმონ დავითის ძე ჯელაძე. დედა მარია სვიმონის ასული. ნათლია აზნაური სიკო ჯაფარიძე.

გარდაცვალება

8 მაისი. გელუნა დავითის ძე ჯელაძე 60 წლის, თიაქართ.
14 ნოემბერი. პაპია ივანეს ძე ჯელაძე 31 წლის, მუცლის ტკივილით.
14 დეკემბერი. დავით გელას ძე ჯელაძე 30 წლის, წყალ-მანკისგან.

1839 წ.

დაბადება

დაბადება 15 იანვარი/ნათლობა 5 იანვარი. მართა - მამა გუგუტა დათინას ძე ჯელაძე. დედა მარიამ სვიმონის ასული. მიმრქმელი მამუკა სვიმონის ძე ჯელაძე.

გარდაცვალება

10 ივნისი. დავით სვიმონის ძე ჯელაძე 8 წლის.
15 სექტემბერი. ღარს მცხ. თეკუნა სვიმონის ძე ჯელაძე 6 წლის, ყვავილისაგან.

1841 წ.

დაბადება

დაბადება 3 აპრილი/ნათლობა 4 აპრილი. სამსონ - მამა იოსებ თამაზას ძე ჯელაძე. დედა ტასია შოშუნას ასული.
დაბადება 4 მაისი/ნათლობა 23 ივლისი. დოდო - მამა საბატონო ყმა დათინა შოშუნას ძე ჯელაძე. დედა მენყინა დავითის ასული.⁴²

⁴² დოდო 1858 წელს დაქორწინდება ხარება იოსების ძე ბენდიანაშვილზე.

1842 წ.

გარდაცვალება

16 იანვარი. ყმა მამუკა ჯელაძე 60 წლის, ცხელებით.

1843 წ.

ქორწინება

7 მაისი. სასიძო - სოფელ ჭალას მცხოვრები საბატონო ყმა პაპუნა იესეს ძე ალიხანაშვილი, 20 წლის. სარძლო - ღარს მცხოვრები საბატონო ყმის მამუკას ასული ელენე. სასიძოს თავმდეები ჭალას მცხოვრები გოგია მამუკას ძე ჯელიძე.⁴³

გარდაცვალება

12 აგვისტო. ყმა იოსებ ჯელაძე 27 წლის, სნებით.

1844 წ.

